**სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო**

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

02 ნოემბერი 2026

N 21/15906

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას**

გაცნობებთ, რომ 2026 წლის 28 ოქტომბერს შპს ,,აგთ გერი დონუშუმმა“, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა დაგეგმილი საქმიანობის (ქ. ბათუმში არასახიფათო ნარჩენების (პლასტმასისა და ქაღალდის) აღდგენის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია) **გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის დაზუსტებული დოკუმენტაცია.** შესაბამისი განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე: ei.gov.ge. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/5e79c957-4cdc-4467-8e5f-5562886c58ce.

დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენის შესახებ განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტებთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები საზოგადოებას/დაინტერესებულ საზოგადოებას შეუძლია სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინოს **2026 წლის 16 ნოემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნების/მოსაზრებების ელფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად ვალდებულია, უზრუნველყოს აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გიგზავნით **შპს ,,აგთ გერი დონუშუმის“ დამატებით განცხადებას** თანდართულ დოკუმენტებთან ერთად და გთხოვთ, უზრუნველყოთ წარმოდგენილი განცხადების განთავსება თქვენი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ან/და აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებგვერდზე და განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის გამოგზავნა ფოტომასალის სახით.

*დანართი: 2 (ორი) ფაილი*

პატივისცემით,

არჩილ ადამია

სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/15906-21-2-202611021542